ტურიზმის ყოველთვიური მიმოხილვა

დეკემბერი 2023

საქართველო

გასვლითი ტურიზმის დინამიკა საქართველოში (I-III კვ. 2023)

Research

www.pmcresearch.org

ტურიზმის ყოველთვიური მიმოხილვა

საქართველო

დეკემბერი 2023

- **2023 წლის I-III კვარტლებში საქართველოს რეზიდენტების მიერ განხორციელებულმა გასვლითი ვიზიტების რაოდენობამ 1.6 მილიონი შეადგინა**, რაც 2022 წლის I-III კვარტლების მაჩვენებელს 42%-ით აღემატება, ხოლო 2019 წლის შესაბამისი მაჩვენებლის 95%-ს შეადგენს.

- **2023 წლის I-III კვარტლებში ვიზიტორთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა დანიშნულების ადგილად თურქეთი (44%) აირჩია, რომელსაც მოსდევდა ევროკავშირი (15%), სომხეთი (15%) და რუსეთი (12%).** აღსანიშნავია, რუსეთში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა განსაკუთრებით გაიზარდა 2023 წლის II კვარტლიდან, რაც უკავშირდება 2023 წლის მაისში რუსეთის გადაწყვეტილებას უვიზო რეჟიმის დაწესებისა და ფრენების აღდგენის შესახებ.

- **გამსვლელი ვიზიტორების დანახარჯებმა 2023 წლის I-III კვარტლებში 1.5 მილიარდ ლარს მიაღწია, რაც 2019 წლის I-III კვარტლების მაჩვენებელს 6%-ით ჩამოუვარდება.** დანახარჯების განაწილების მიხედვით, მთლიან დანახარჯებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საყიდლების წილი (+10 პპ), კვების წილი (-6 პპ) კი შემცირდა.

სასტუმროს ფასების ინდექსი

2023 წლის დეკემბერში საქართველოში სასტუმროს ფასების ინდექსი (სფი) 2022 წლის დეკემბერთან შედარებით 7.0%-ით შემცირდა. აღსანიშნავია, რომ წლიური ფასები განსაკუთრებით შემცირდა 3*, 4*, 5* სასტუმროების კატეგორიისთვის (10.0%-ით). ამავდროულად, 2023 წლის ნოემბერთან შედარებით, სფი 10.9%-ით შემცირდა.

გასვლითი ტურიზმის დინამიკა





წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

- **2023 წლის I-III კვარტლებში საქართველოს რეზიდენტების მიერ განხორციელებულმა გასვლითი ვიზიტების რიცხვმა 1.6 მილიონი შეადგინა,** რაც 2022 წლის I-III კვარტლების მაჩვენებელს 42%-ით აღემატება, ხოლო 2019 წლის შესაბამისი მაჩვენებლის 95%-ს შეადგენს.

- **2023 წლის I-III კვარტლებში ვიზიტორთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა დანიშნულების ადგილად თურქეთი (44%) აირჩია, რომელსაც მოსდევდა ევროკავშირი (15%), სომხეთი (15%) და რუსეთი (12%).** აღსანიშნავია, რუსეთში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა განსაკუთრებით გაიზარდა 2023 წლის II კვარტლიდან, რაც უკავშირდება 2023 წლის მაისში რუსეთის გადაწყვეტილებას უვიზო რეჟიმის დაწესებისა და ფრენების აღდგენის შესახებ.

- **2023 წლის I-III კვარტლებში დანიშნულების ქვეყნების მიხედვით ვიზიტების განაწილება წინა პერიოდების მსგავსია.** გამონაკლისია აზერბაიჯანი, სადაც ვიზიტებმა შესამჩნევად იკლო (-18.1 პპ 2019 წლის I-III კვარტლებთან შედარებით). ეს ცვლილება აიხსნება აზერბაიჯანის მხრიდან სახმელეთო საზღვარზე შენარჩუნებული მკაცრი რეგულაციებით.

- **საინტერესოა, რომ არაბთა გაერთიანებულ საამიროებში ვიზიტების რაოდენობა გაიზარდა.** 2023 წლის I-III კვარტლებში არაბთა გაერთიანებულ საამიროებში ვიზიტების რაოდენობა 46%-ით გაიზარდა, რაც შესაძლოა, აიხსნას ამ ქვეყანასთან გაღრმავებული სავაჭრო ურთიერთობებით.

გასვლითი ტურიზმის ძირითადი ინდიკატორები





წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

- **2023 წლის I-III კვარტლებში გასვლითი ვიზიტების განაწილება ძირითადი მიზნების მიხედვით განსხვავდება 2019 წლის ანალოგიური პერიოდისგან.** კერძოდ, 2023 წლის I-III კვარტლებში იმ ვიზიტორთა წილი, რომლებიც ვიზიტის მთავარ მიზნად მეგობრებისა ან ნათესავების მონახულებას ასახელებს, შემცირდა (-4 პპ), რაც, შესაძლოა, აიხსნას აზერბაიჯანის სახმელეთო საზღვრის ჩაკეტვით. ამავდროულად, საყიდლების წილი გაიზარდა (+7 პპ) და გასვლითი ვიზიტების ყველაზე ხშირი ძირითად მიზანი გახდა.

- **გამსვლელი ვიზიტორების დანახარჯებმა 2023 წლის I-III კვარტლებში 1.5 მილიარდ ლარს მიაღწია, რაც 2019 წლის I-III კვარტლების მაჩვენებელს 6%-ით ჩამოუვარდება.** დანახარჯების განაწილების მიხედვით, მთლიან დანახარჯებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საყიდლების წილი (+10 პპ), ხოლო შემცირდა კვების წილი (-6 პპ).

- **მიუხედავად დანახარჯების შემცირებისა, ვიზიტების საშუალო ხანგრძლივობა გაიზარდა.** 2023 წლის I-III კვარტლებში ვიზიტორებმა, საშუალოდ, 6.4 ღამე გაატარეს საზღვარგარეთ, რაც 65%-ით მეტია 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. აღნიშნული განსხვავება, შესაძლოა, ნაწილობრივ აიხსნას ვიზიტორთა შორის დაბალბიუჯეტიანი მოგზაურობის პოპულარობის ზრდით.

სასტუმროს ფასების ინდექსი საქართველოში

- საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[1] 2023 წლის დეკემბერში, 2023 წლის ნოემბერთან შედარებით, 10.9%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 10.0%-ით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 7.0%-ით გაიზარდა.
- თვიური სფი ყველაზე მაღალი სამცხე-ჯავახეთში (25.1%) აღმოჩნდა, ყველაზე ნაკლები კი სამეგრელო-ზემო სვანეთში (0.0%).
- 2023 წლის დეკემბერში, 2022 წლის დეკემბერთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 7.0%-ით შემცირდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 10.0%-ით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 5.5%-ით შემცირდა.
- წლიური ინდექსი ყველაზე მაღალი იყო გურიში (19.6%), ყველაზე ნაკლები კი თბილისში (-11.5%).

რეგიონი	სასტუმრო		3*, 4*, 5*		საოჯახო	
	2023 დეკ/ 2023 ნოე	2023 დეკ/ 2022 დეკ	2023 დეკ/ 2023 ნოე	2023 დეკ/ 2022 დეკ	2023 დეკ/ 2023 ნოე	2023 დეკ/ 2022 დეკ
კახეთი	3.7%	3.5%	1.0%	1.8%	5.1%	4.4%
იმერეთი	4.4%	3.1%	4.1%	5.3%	4.7%	1.1%
გურია	6.9%	19.6%	6.9%	19.6%	-	-
ქვემო ქართლი	-	-	-	-	-	-
აჭარა	6.8%	-6.5%	4.5%	-7.1%	14.6%	-12.6%
რაჭა	0.9%	10.7%	-	-	0.9%	10.7%
შიდა ქართლი	6.6%	11.9%	-2.6%	4.7%	9.8%	19.5%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	0.0%	25.8%	1.9%	15.1%	-1.4%	35.8%
სამცხე-ჯავახეთი	25.1%	7.5%	25.2%	-16.8%	25.1%	27.6%
მცხეთა-მთიანეთი	23.8%	-9.1%	35.6%	-17.5%	-1.4%	21.5%
თბილისი	11.3%	-11.5%	11.8%	-11.7%	5.7%	-8.1%
სულ ფასების % ცვლილება	**10.9%**	**-7.0%**	**10.0%**	**-10.0%**	**7.0%**	**-5.5%**

1 სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით. ასევე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგიერთი რეგიონისთვის (როგორიცაა შიდა ქართლი და რაჭა), საკმაოდ მცირეა მონაცემთა ბაზაში არსებული სასტუმროების რაოდენობა, შესაბამისად ინდექსი სრულად ვერ ასახავს რეგიონში არსებულ სასტუმროს ფასების ცვლილების ტენდენციას.

სასტუმროს საშუალო ფასები

- 2023 წლის დეკემბერში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[2] **157 ლარი** შეადგინა, ხოლო 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა - **253 ლარი**. საოჯახო ტიპის სასტუმროების[3] საშუალო ფასმა დეკემბერში **123 ლარი** შეადგინა.

- 5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა დეკემბერში **407 ლარი** შეადგინა. **კახეთში** ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 547 ლარი შეადგინა, **თბილისში** - 529 ლარი, **გურიაში** - 409, ხოლო **აჭარაში** - 325.

3*, 4* და საოჯახო ტიპის სასტუმროთა საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით (2023 დეკემბერი, ლარი)



2 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3*, 4*, 5* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3*, 4*, 5* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3*, 4* და 5* სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.

3 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები

	2018	2019	2020	2021	ჯ3. I 2022	ჯ3. II 2022	ჯ3. III 2022	ჯ3. IV 2022	2022	ჯ3. I 2023	ჯ3. II 2023	ჯ3. III 2023
მშპ მიმდინარე ფასებში განთავსების საშუალებებისა და საკვები ობიექტების აქტივობებიდან (მლნ)	1800.0	2223.0	1204.5	1783.6	385.0	523.2	785.8	635.3	2329.2	446.0*	584.6*	878.4*
საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა (ათასი)	8679.5	9357.9	1747.1	1881.3	576.5	1049.4	2266.7	1534.3	5426.9	1208.5	1651.70	2706.9
ტურისტების რაოდენობა (ათასი)	4756.8	5080.5	1087.0	1577.5	456.0	749.3	2082.6	948.8	3652.9	845.3	1085.2	1725.1
საერთაშორისო მოგზაურობიდან შემოსავალი (მლნ აშშ დოლარი)	3222.1	3268.7	541.7	1244.9	393.7	748.80	1374.7	999.5	3516.6	795.4	1009.1*	1447.1*
ქართველი მოგზაურების დანახარჯები საზღვარგარეთ (მლნ აშშ დოლარი)	524.7	657.2	180.5	184.7	72.2	103.5	118.6	114.3	408.6	105.0	126.0	149.3*
პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ჰორეკა სექტორში (მლნ აშშ დოლარი)	106.0	119.7	-246.6	-13.6	20.6	15.2	23.0	7.9	66.7	30.1*	-1.5*	19.7*

* პირველადი მონაცემები

სამართლებრივი შეტყობინება

ვებგვერდზე წარმოდგენილი პუბლიკაციები მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ მხოლოდ საინფორმაციო და/ან მარკეტინგული მიზნებისთვის. პუბლიკაციებში ასახული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ რჩევას და, შესაბამისად, მკითხველი თავად არის პასუხისმგებელი შინაარსის ნებისმიერ ინტერპრეტაციაზე. PMC კვლევითი ცენტრი არ იღებს პასუხისმგებლობას მკითხველის მიერ მასალების გამოყენების შედეგად წარმოშობილ პრეტენზიებზე. პუბლიკაცია წარმოდგენილია ისე, „როგორც არის“, ყოველგვარი გამოხატული ან ნაგულისხმევი რეპრეზენტაციისა და გარანტიის გარეშე.

ზემოთ მოყვანილი აბზაცის ზოგად გზავნილთან წინააღმდეგობის გარეშე, PMC კვლევითი ცენტრი არ იძლევა გარანტიას, რომ:

პუბლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება;

რომ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი ან არ არის შეცდომაში შემყვანი.

PMC კვლევითი ცენტრი იტოვებს უფლებას, დროდადრო შეცვალოს პუბლიკაციების შინაარსი ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

PMC კვლევითი ცენტრი თავიდან იხსნის სხვა მხარეების უფლებების დარღვევასა ან PMC კვლევითი ცენტრის პუბლიკაციების გამოყენების შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას. PMC კვლევით ცენტრს არ აქვს მკითხველის წინაშე პასუხისმგელობის ვალდებულება (კონტრაქტის კანონით, დელიქტური კანონით თუ სხვაგვარად) პუბლიკაციის შინაარსთან, გამოყენებასა ან პუბლიკაციასთან კავშირის ნებისმიერ სხვა ფორმასთან დაკავშირებით.

მკითხველი აღიარებს, რომ როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის სუბიექტი, PMC კვლევითი ცენტრი დაინტერესებულია, შეზღუდოს თავისი ოფიცრებისა და თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა. მკითხველი თანხმდება, რომ მისთვის პუბლიკაციით გამოწვეული ნებისმიერ დანაკარგის შესახებ პრეტენზიებს არ წამოუყენებს პირადად PMC კვლევითი ცენტრის ოფიცრებს ან თანამშრომლებს.

მკითხველი თანხმდება, რომ გარანტიებისა და ვალდებულებების შეზღუდვები, რომლებიც მითითებულია ამ სამართლებრივ შეტყობინებაში, იცავს PMC კვლევითი ცენტრის მკვლევრებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, შვილობილ კომპანიებს, მემკვიდრეებს, უფლებამოსილ პირებს და ქვეკონტრაქტორებს, ისევე როგორც თავად PMC კვლევით ცენტრს.

თუ ამ სამართლებრივი შეტყობინების რომელიმე დებულება მოქმედი კანონმდებლობით არის ან აღმოჩნდება არააღსრულებადი, ეს არ იმოქმედებს პუბლიკაციის სხვა დებულებების აღსრულებადობაზე.

გიორგი ხიშტოვანი
კვლევითი დირექტორი
g.khishtovani@pmcginternational.com

ნანა ქაჯაია
მკვლევარი
n.kajaia@pmcginternational.com

გუგულა ცუხიშვილი
კვლევითი ასისტენტი
g.tsukhishvili@pmcginternational.com

მის.: 61 აღმაშენებლის გამზირი, მე-3 სართული, თბილისი, 0102, საქართველო.
ტელ: (+995 32) 2921171, 2921181
ელ. ფოსტა: research@pmcginternational.com
ვებსაიტი: pmcresearch.org